KA040138110634914

საქართველო, თბილისი, 0105, ლეონიძის ქ №3; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ფაქსი.: (+995 32) 2 92 33 78; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge;
www.csb.gov.ge

№ 73/სა

10 / სექტემბერი / **2014** წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის,თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134^4 -ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკა, თემატიკა და შეფასების კრიტერიუმები, დანართის შესაბამისად.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი : ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ N6), ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბიუროს უფროსი

ეკატერინე ქარდავა

დანართი

დამტკიცებულია სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის

2014 წლის 10 სექტემბრის N 73/სა ბრძანებით

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმები

I. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების თემატიკა

სფერო	შინაარსი	კომპეტენცია
სახელმწიფო მოწყობის სამართლებრივი საფუძვლები (საქართველოს კონსტიუტცია)	1. საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმა; 2. სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობა; 3. საქართველოს პარლამენტის სტატუსი, არჩევის წესი და უფლებამოსილებები; 4. საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი, არჩევის წესი და უფლებამოსილებები; 5. საქართველოს მთავრობის სტატუსი, ფორმირების წესი და უფლებამოსილებები; 6. სასამართლო ხელისუფლების სისტემა; 7. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი; 8. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების წესი, გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების წესი; 9. სახელმწიფოს თავდაცვის ძირითადი პრინციპები, ეროვნული უშიშროების საბჭოს სტატუსი;	ფლობს სათანადო ცოდნას საქართველოს პოლიტიკური წყობილების და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციული მოწყობის, ხელისუფლების შტოების ურთიერთმიმართების და ადგილობრივი თვითმმართველობი

		ს კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.
ადამიანის უფლებები	10. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; 11. საქართველოს მოქალაქეობა;	აქვს სათანადო ცოდნა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე და თავისუფლებებზე.
ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი საფუძვლები (საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 12-25;,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ”ევროპული ქარტია 26-34)	12. ადგილობრივითვითმმართველობისცნება; 13. თვითმმართველი ერთეული; 14. ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზება; 15. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება; 16. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები; 17. მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები; 18. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სისტემა; 19. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი; 20. მუნიციპალიტეტის ქონება; 21. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა; 22. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტი; 23. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა; 24. სამხარეო საკონსულტაციო საბჭო; 25. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების გარანტიები; 26. ადგილობრივითვითმმართველობისკონცეფცია; 27. ადგილობრივითვითმმართველობისკომპეტენციისსფერო; 28. ხელისუფლებისადგილობრივიორგანოსადმინისტრაციულისაზღვრებისდაცვა; 29. შესაბამისიადმინისტრაციულისტრუქტურებიდახელისუფლებისადგილობრივო	აქვს ცოდნა ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ”ევროპული ქარტიით და საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპების და ძირითადი ინსტიტუტების შესახებ.

	რგანოთაამოცანებისწყარო; 30. ადგილობრივუფლებამოსილებათაგანხორციელებისპირობები; 31. ადგილობრივითვითმმართველობისორგანოებისსაქმიანობისადმინისტრაციულ იზედამხედველობა; 32. ადგილობრივითვითმმართველობისფინანსურისახსრები; 33. ხელისუფლებისადგილობრივიორგანოებისუფლებაგაერთიანებაზე; 34. ადგილობრივითვითმმართველობისსამართლებრივიდაცვა;	
საჯარო სამსახურის სისტემა (საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“)	35. საჯარო სამსახურის ცნება და სახეები; 36. საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები; 37. საჯარო სამსახურში მიღება და სამსახურიდან გათავისუფლება; 38. საჯარო მოსამსახურის უფლებები და გარანტიები; 39. საჯარო სამსახურში თანამდებობათა რანგირება და მოხელის საკლასო ჩინი; 40. დაწესებულების შინაგანაწესი; 41. საჯარო მოსამსახურის ქცევის ზოგადი წესები; 42. დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის ზომები; 43. სამოხელეო დავების გადაწყვეტის წესი; 44. საჯარო სამსახურის საბჭო და საჯარო სამსახურის ბიურო;	აქვს სათანადო ცოდნა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპების, საჯარო მოსამსახურის სტატუსის, საჯარო სამსახურის გავლის წესის და მოხელის სამართლებრივი დაცვის შესახებ.
ადმინისტრაციული წარმოება (საქართველოს	45. ადმინისტრაციული წარმოების სახეები; 46. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავი - ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებანი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება.	აქვს კომპეტენცია განახორციელოს ნორმათშეფარდების

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი)	47. ადმინისტრაციული წარმოების წესი კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში;	პროცესი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.
ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი)	48. ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი; 49. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ფორმა და რეკვიზიტები; 50. ინდივიდუალურიადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა; 51. ინდივიდუალურიადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯაროდ გამოცხადების, ოფიციალური გაცნობის და გამოქვეყნების წესები	შეუძლია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების გამოყენება საჯარო მმართველობის განხორციელების ფარგლებში.
საჯარო მმართველობის ღიაობა (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი)	52. საჯარო ინფორმაციისა და საიდუმლო ინფორმაციის ცნებები; ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია; 53. საჯარო რეესტრი, საჯარო ინფორმაციის გაცემა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, აღმასრულებელი პრივილეგია;	იცის ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობისძირითადი ინსტიტუტები. მიჯნავს საჯარო და დახურულ ინფორმაციათა კატეგორიებს. იცნობს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების

		ინსტიტუტს.

II. ტესტირების მეთოდიკა და შეფასების კრიტერიუმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ტესტირების მეთოდიკით განისაზღვრება ტესტის შედგენისა და ტესტირების ჩატარების პროცედურები. ტესტირების მიზანია შეფასდეს მონაწილის ცოდნა და უნარ-ჩვევები. ტესტირების მიზნიდან გამომდინარე, ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან: ტესტის პირველი ნაწილი მიმართულია მონაწილის ცოდნის შესაფასებლად, ხოლო მეორე ნაწილი ემსახურება უნარ-ჩვევების დადგენას.

2. ტესტი შედგება ტესტური დავალებებისაგან. ტესტური დავალება შედგება პირობისა და ოთხი სავარაუდო პასუხისგან, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი პასუხი. ცოდნის შეფასების ტესტები დგება ტესტირების თემატიკიდან გამომდინარე. ტესტირებაში მონაწილე პირის ამოცანაა თითოეულ ტესტური დავალების ოთხი სავარაუდო პასუხიდან გამოიცნოს სწორი პასუხი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით.

მუხლი 2. ტესტირების დრო

1. ტესტზე პასუხის გასაცემად ტესტირების მონაწილეს ეძლევა2 ასტრონომიული საათი. ტესტირებისათვის გამოყოფილი დროის ათვლა იწყება ტესტირების ინსტრუქტაჟის დამთავრებიდან. ტესტების დროის ამოწურვისას, მონაწილე აფიქსირებს ტესტზე მუშაობის დასრულებას. თუ მონაწილე ტესტირებისთვის გამოყოფილი დროის განმავლობაში ვერ მოასწრებს ყველა დავალებაზე პასუხის დაფიქსირებას, ტესტური დავალება შეფასდება მის მიერ გაცემული პასუხების რაოდენობის მიხედვით. პასუხგაუცემელი ტესტი შეფასდება 0 ქულით.

2. ტესტირების დროის ამოწურვის შესახებ მონაწილეები მიიღებენ ორ გაფრთხილებას: ტესტირების დროის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე და 15 წუთით ადრე.

მუხლი 3. ტესტირების ენა

ტესტირება ტარდება ქართულ ენაზე, ხოლო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული მუნიციპალიტეტების თხოვნით, ტესტი შედგენილ უნდა იქნას ორ ენაზე - ქართულად და ეთნიკური უმცირესობის ენაზე.

მუხლი 4. ტესტების შედგენა

ტესტირების თემატიკის შესაბამისად ტესტების მომზადებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული დაწესებულება (შემდგომ -დაწესებულება).

მუხლი 5. სავალდებულო ინსტრუქტაჟი ტესტირების დაწყებამდე

1. ტესტებზე პასუხის გაცემის დაწყებამდე დაწესებულების უფლებამოსილი პირი ტესტირების მონაწილეებს უტარებს ინსტრუქტაჟს, დაწესებულების მიერ განსაზღვრული ტესტირების ინსტრუქციის შესაბამისად.
2. ინსტრუქტაჟის მიზანია მონაწილეებს გაეცნოთ ტესტის ამოხსნის მეთოდიკა, პასუხის მონიშვნის წესი, ტესტირების პროცესის ხანგძლიობა, მათი უფლება-მოვალეობები და სხვა საკითხები, რაც აუცილებელია ტესტირების ჩატარებისათვის.

მუხლი 6. ტესტირებაზე გამოცხადების დრო

1. ტესტირების დღეს ტესტირების მონაწილე უნდა გამოცხადდეს ტესტირების ჩატარების ადგილზე ტესტირების დაწყებამდე 1 საათით ადრე,დაწესებულების მიერ მონაწილისთვის დადგენილ დროს. ტესტირების მონაწილემ თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა).
2. პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის გარეშე პირი ტესტირებაზე არ დაიშვება.
3. ტესტირების დაწყებამდე 1 საათის განმავლობაში, დაწესებულების მიერ დადგენილ დროს, ხდება მონაწილეთა რეგისტრაცია სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერით. ტესტირების დაწყებისას იხურება შენობის შესასვლელი და დაგვიანებული პირი(პირი რომელმაც განსაზღვრულ დროში ვერ გაიარა რეგისტრაცია) ტესტირებაზე არ დაიშვება, ხოლო მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში უფლებამოსილი პირის მიერ კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 7. ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შედეგი

ტესტირებაზე გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიოა თუ არასაპატიო) მონაწილე ფასდება 0 ქულით.

მუხლი 8. ტესტირების დარბაზში შესვლის უფლება

1. ტესტირების დარბაზში დაიშვებიან ტესტირების მონაწილეები, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ტესტირების ეტაპის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი,(მათ შორის ამავე დაწესებულებების დამკვირვებლი),აგრეთვე სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სსიპ „ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის წარმომადგენლები).
2. უცხო პირთა შესვლა ტესტირების დარბაზში აკრძალულია.
3. დაწესებულების უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ატარებს ტესტირების დარბაზში შესვლის უფლების მქონე პირებს და აძლევს მათ შენობაში ყოფნის დროებით საშვს.
4. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პირების გარდა, ტესტირების პროცესს შეიძლება დააკვირდეს სხვა პირებიც, დაწესებულების მიერ მითითებული სპეციალური ადგილიდან.
5. სხვა პირები იკავებენ დაწესებულების წარმომადგენლის მიერ მათთვის გამოყოფილ ადგილებს და მათ უფლება არ აქვთჩაერიონ ტესტირების პროცესში, რაიმე ფორმით გამოხატონ თავისი კმაყოფილება ან უკმაყოფილება და ხელი შეუშალონ ტესტირების მიმდინარეობას. დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილ პირს შეუძლია დამრღვევს დაატოვებინოს ტესტირების დარბაზი.

მუხლი 9. ტესტების მიმდინარეობა

1. ტესტირება ტარდება ელექტრონულად, სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.
2. პროგრამაში შესაბამისი ველების შევსების შემდეგ,პროგრამა მონაწილეს შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე აძლევს ტესტურ დავალებებს, სადაც მან ოთხი სავარაუდო პასუხიდან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი.
3. თუ ტესტირების მიმდინარეობისას,მონაწილეს ტექნიკური პრობლემის გამო,გარკვეული დროის განმავლობაში ხელი ეშლება ტესტზე მუშაობაში, მას მიეცემა დამატებითი დრო ტესტის დასასრულებლად.

4. ტესტირების მიმდინარეობისას, ტესტირების მონაწილეს უფლება აქვს გააპროტესტოს დაწესებულების უფლებამოსილი პირის მოქმედება.მონაწილის საჩივარს დაუყოვნებლივ იხილავს საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი პირი. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება ერთპიროვნულად..

მუხლი 10. ტესტირების შედეგების შეჯამება

1. ტესტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, პროგრამა ავტომატურად ითვლის სწორი და არასწორი პასუხების რაოდენობას..
2. დაწესებულების უფლებამოსილი პირი სპეციალურ უწყისში აღნიშნავს ტესტირების მონაწილის მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობას, რასაც მონაწილე ადასტურებს ხელმოწერით.
3. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსის ტესტირების ეტაპის მონაწილის შედეგი ძალაშია 2015 წლის 1 ივლისამდე.

მუხლი 11. ტესტირების შედეგების გაპროტესტება

1. დაწესებულება პასუხისმგებელია ტესტის სისწორეზე.
2. ტესტირების შედეგების გასაჩივრების მიზნით, დაწესებულებაში იქმნება საპრეტენზიო კომისია, რომელიც შესაბამისი ტესტირების პროცესის დასრულებიდან (ტესტირების ჩატარების დღიდან)3 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს საჩივრებს და იღებს გადაწყვეტილებებს. საჩივარი ტესტირებაში მონაწილე პირმა საპრეტენზიო კომისიას უნდა წარუდგინოს შესაბამისი ტესტირების ჩატარების დღიდან ერთი კალენდარული დღის ვადაში.საპრეტენზიო კომისია მიღებულ გადაწყვეტილებებს დაუყოვნებლივ აწვდის შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

მუხლი 12. შეფასების კრიტერიუმები

1. ტესტის შეფასება ხდება ქულათა სისტემით. მაქსიმალური ქულაა60.
2. ტესტი მოიცავს 45ტესტურ დავალებასსაქართველოს კანონმდებლობიდან ამ ბრძანებითგათვალისწინებული თემატიკის შესაბამისადდა 15ტესტურ დავალებასუნარ-ჩვევების ნაწილიდან.

3.ტესტირების ეტაპის მინიმალურ გამსვლელ ზღვარს ადგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტი, სწორი პასუხების მინუმუმ 50%, მაქსიმუმ 75% - ის ფაგლებში.

III. ტესტების სტრუქტურა

საკითხი	კითხვა
1. საქართველოსკონსტიტუცია	5
2. ევროპულიქარტია „ადგილობრივითვითმმართველობისშესახებ“	5
3. საქართველოსორგანულიკანონი „ადგილობრივითვითმმართველობისშესახებ“ კოდექსი	20
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი	5
5. საქართველოსკანონი „საჯაროსამსახურისშესახებ“	10
6. უნარ-ჩვევები	15